



სსიპ შოთა რუსთაველის
საქართველოს ეროვნული
სამეცნიერო ფონდი

30 დეკემბერი 2024

ქ. თბილისი

გენერალური დირექტორის

ბრძანება № 193

**მოლდოვას კვლევისა და განვითარების ეროვნული სააგენტოსა (NARD) და სსიპ შოთა რუსთაველის
საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ერთობლივი სამეცნიერო საგრანტო კონკურსში
გამარჯვებული პროექტების დამტკიცების შესახებ**

„მოლდოვას კვლევისა და განვითარების ეროვნულ სააგენტოსა (NARD) და სსიპ – შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ერთობლივი სამეცნიერო საგრანტო კონკურსის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2023 წლის 11 დეკემბრის N133/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის პირველი პუნქტის და მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, „მოლდოვას კვლევისა და განვითარების ეროვნული სააგენტოსა (NARD) და სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ერთობლივი სამეცნიერო საგრანტო კონკურსის გამოცხადების, კონკურსის პირობების და საკონკურსო დოკუმენტაციის ფორმების დამტკიცების შესახებ“ სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2024 წლის 26 სექტემბრის N142 ბრძანებით დამტკიცებული კონკურსის პირობების მე-5 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის N62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ და „შ“ ქვეპუნქტების საფუძველზე და სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის საერთაშორისო ურთიერთობებისა და ფონდების მოზიდვის სამსახურის სპეციალისტის სამსახურებრივი ბარათის (N1672812, 30.12.2024) შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს მოლდოვას კვლევისა და განვითარების ეროვნული სააგენტოსა (NARD) და სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ერთობლივი სამეცნიერო საგრანტო კონკურსში გამარჯვებული შემდეგი პროექტები:

N	პროექტის შიფრი	პროექტის სათაური
1	NARD-24-233	ბიოტექნოლოგიური საშუალებები მებაღეობის მდგრადობისთვის, ისეთი არატრადიციული სახეობების, როგორცაა მინი-კივი (<i>Actinidia arguta</i>), პოპულარიზაციის გზით კლიმატის ცვლილების კონტექსტში
2	NARD-24-097	თანამედროვე მასალები და ტექნოლოგიები

2. გამარჯვებული პროექტების ავტორებმა არაუგვიანეს 2025 წლის 31 იანვრის 18:00 საათისა სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნულ სამეცნიერო ფონდის (შემდგომში - ფონდი) კანცელარიაში უნდა წარმოადგინონ საბანკო ანგარიშის ნომერი და ცნობა ბანკიდან იმის შესახებ, რომ აღნიშნულ ანგარიშს არ ერიცხება სარგებელი;
3. დაევალოს ფონდის ადმინისტრაციულ და იურიდიულ დეპარტამენტს გამარჯვებული პროექტების წარმდგენებთან საგრანტო ხელშეკრულების გაფორმება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად არაუგვიანეს 2025 წლის 28 თებერვლისა.
4. დაევალოს ფონდის მეცნიერების პოპულარიზაციის სამსახურს, ამ ბრძანების განთავსება ფონდის ვებგვერდზე.
5. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: დ. აღმაშენებლის ხეივანი №64).

თეიმურაზ დოჭვირი

თ. დოჭვირი